საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მშენებლობის ღირებულების ინდექსი საქართველოში

2021

II კვარტალი

23.09.2021

www.geostat.ge

23.09.2021

მშენებლობის ღირებულების ინდექსი საქართველოში

2021 წლის II კვარტალი

მშენებლობის ღირებულების ინდექსი **წინა კვარტალთან** შედარებით 8.2 პროცენტით გაიზარდა. აღნიშნული ცვლილება, ძირითადად, განპირობებული იყო მშენებლობის დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის 20.6 პროცენტიანი მატებით, რამაც 5.15 პროცენტული პუნქტი შეიტანა ჯამური ინდექსის ცვლილებაში.

წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით მშენებლობის ღირებულების ინდექსი გაიზარდა 16.8 პროცენტით. ინდექსის ზრდა, ძირითადად, გამოწვეული იყო სამშენებლო მასალებზე ფასების 17.2 პროცენტიანი ზრდით, რაც 10.08 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ცვლილებაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2021 წლის მეორე კვარტალში მშენებლობის ღირებულების ინდექსები წინა კვარტალთან და წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით, ასევე ინდექსების ფორმირებაში მონაწილე ხარჯების კატეგორიების შესაბამისი წვლილები:

ხარჯების კატეგორიები	2021 წლის I კვარტალთან	წვლილი* კვარტალის ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში	2020 წლის II კვარტალთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
სულ	**108.2**	**8.24**	**116.8**	**16.82**
სამშენებლო მასალები	104.4	2.67	117.2	10.08
ხელფასები	120.6	5.15	122.9	5.76
მანქანა-დანადგარები	99.9	-0.01	100.3	0.02
ტრანსპორტირება, საწვავი, ელექტროენერგია	102.2	0.03	119.8	0.24
სხვა ხარჯი	104.8	0.40	108.3	0.72

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

23.09.2021

მშენებლობის ღირებულების ინდექსის ცვლილება
(წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით)



საკონტაქტო პირი:
გიორგი თეთრაული ტელ: (+995 32) 236 72 10 (400).
ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge